

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №29-30, 1997 წელი, გვ.15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-ფოტო-ფონო მასალების სახელმწიფო ფონდები, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები, სამუზეუმო კოლექციები და ფონდები, რელიგიური დანიშნულების ობიექტები, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლები და ეროვნული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმები;“

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ პუნქტი:

„პ) ისტორიული, კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლები, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, არქეოლოგიური დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთები, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებისა და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობების გარეშე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი